საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№370 2017 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე „ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ 2017 წლის 13 ივლისს გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 15 098 (თხუთმეტი ათას ოთხმოცდათვრამეტი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

გიორგი კვირიკაშვილი